საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საჭო

ქ. ბათუმი 12 დეკემბერი, 2013 წელი

გადაწყვეტილება № 05-01/07

ხელოვნების უნივერსიტეტის პროფესიულ და განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის კულტურისა და ხელოვნების მენეჯმენტის, კულტურული ტურიზმის და მასობრივი კომუნიკაცია - ტელერადიოჟურნალისტიკის უმაღლეს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის, ხელოვნების უნივერსიტეტის წესდების მე-17 მუხლისა და აკადემიური საბჭოს 2013 წლის 12 დეკემბრის №04-01/71 დადგენილების საფუძველზე

წარმომადგენლობითმა საბჭო გადაწყვიტა:

1. 2014-2015 სასწავლო წლიდან პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ერთი სასწავლო წლის (60 კრედიტი) სწავლის საფასური განისაზღვროს 1500 ლარის ოდენობით. უცხოეთის მოქალაქეებისათვის - 1500 დოლარი ექვივალენტით ლარებში.

2. 2014-2015 სასწავლო წლიდან განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის კულტურისა და ხელოვნების მენეჯმენტის, კულტურული ტურიზმის და მასობრივი კომუნიკაცია-ტელერადიო ჟურნალისტიკის უმაღლეს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე ერთი სასწავლო წლის (60 კრედიტი) სწავლის საფასურის ოდენობა განისაზღვროს თითოეულ პროგრამაზე 1800 ლარის ოდენობით; უცხოეთის მოქალაქეებისათვის - 2500 დოლარი ექვივალენტით ლარებში.

3. 2014-2015 სასწავლო წლიდან სახვითი, სასცენო და კინო-ტელეხელოვნების ფაკულტეტის არქიტექტურისა და დიზაინის (შენობა-ნაგებობათა არქიტექტურა; ინტერიერი და დიზაინი) უმაღლეს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ერთი სასწავლო წლის (60 კრედიტი) სწავლის საფასურის ოდენობა განისაზღვროს 1800 ლარის ოდენობით.

4. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

წარმომადგენლობითი საბჭოს
სპიკერი **თ. მეიშვილი**